სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების
მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი 03.11.2011წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - გენერალური დირექტორი;
პაატა გაფრინდაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი;
ნიკოლოზ ანთიძე - საკონკურსო კომისიის წევრი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
გიორგი ნაკაშიძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
ქრისტინე დარჩია - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გუგა გოგაძე - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი - ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდნენ - შვებულების გამო:
გიგლა ჭანუყვაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ნოზაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გიორგი მისრიაშვილი- საკონკურსო კომისიის წევრი - ძეგლთა ატრიბუციისა და მონიტორინგის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2011 წლის 6 ოქტომბერს გამოცხადებული (საკონკურსო განცხადების #168) კონკურსის შედეგების განხილვა

კომისიამ მოისმინა:

მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის შედეგების განხილვა

აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე ერთი კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება:

- სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია".

კომისიამ განიხილა კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი მომხრეა მიღებული იქნას წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დაადგინა:

1. სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2. მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების კონკურსზე კონკურსანტი სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია“ გამოცხადდეს გამარჯვებულად;

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი - „გამარჯვებული გამოვლენილია“;

4. მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მე-11 მუხლის შესაბამისად, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში (2011 წლის 9 ნოემბრის ჩათვლით) გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულება;

5. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია“-ს.

კომისიის თავმჯდომარე	/ნიკოლოზ ვაჩეიშვილი/
კომისიის წევრი	/პაატა გაფრინდაშვილი/
კომისიის წევრი	/ნიკოლოზ ანთიძე/
კომისიის წევრი	/გიორგი ნაკაშიძე/
კომისიის წევრი	/ქრისტინე დარჩია/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების შესყიდვაზე 2011 წლის 6 ოქტომბერს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების #168) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

#	კონკურსანტის დასახელება	დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო	ხელმოწერა
1	სსიპ „საქართველოს ეკლესია“	21.10.2011 14:00	[illegible]
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			

საკონკურსო აპარატის წევრი
გ.გოგაძე

21 ოქტომბერი 2011 წელი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 21 სექტემბერი, 2011 წელი

საკონკურსო კომისიის და მისი აპარატის წევრები ვადასტურებთ, რომ მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების შესყიდვის 2011 წლის 6 ოქტომბერს გამოცხადებულ #168 კონკურსში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე	ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
კომისიის წევრი	პაატა გაფრინდაშვილი
კომისიის წევრი	ნიკოლოზ ანთიძე
კომისიის წევრი	გიორგი ნაკაშიძე
კომისიის წევრი	გიგლა ჭანუყვაძე
კომისიის წევრი	ნინო ნოზაძე
კომისიის წევრი	ქრისტინე დარჩია
კომისიის აპარატის წევრი	გუგა გოგაძე

საგადასახადო დავალება№ 679

2011 წლის 18 ოქტომბერი

		თანხა
გადამხდელი	სსიპ "თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია"	
გადამხდელის ანგარიში	GE84TB4980634080100001	50.00
გადამხდელის ბანკი	ქ. თბილისი ს/ს "თიბისი ბანკი" მთაწმინდის სერვის ცენტრი №2	ბანკის კოდი TBCBGE22
		თანხა სიტყვებით
საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადახდის გადამხდელზე		ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი
დასახელება		
საიდენტიფიკაციო კოდი	203851545	
მიმღები	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი	GE52BR0000010591718543	
მიმღების ბანკი/ხაზინა	სს "ბანკი რესპუბლიკა"	ბანკის კოდი REPLGE22
გადახდის დანიშნულება:	საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასური.განცხადების ნომერი 168	ბანკის აღნიშნები შესრულების თარიღი
		ბანკში შემოსვლის თარიღი
დამატებითი ინფორმაცია:	(გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი: 203851545	ხელმოწერა
		შტამპის ადგილი

ხელმოწერები

ბ.ა.

საბანკო გარანტია № 1085201-1416091

ქ. თბილისი 10/18/2011

ს.ს. "თიბისი ბანკის" რუსთაველის სც №1ს დირექტორის თინათინ კვინტრაძეს სახით, მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით :

გარანტი:	სს "თიბისი ბანკი"
პრინციპალი :	სსიპ 'აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია' რეგ № 464 რეგ. თარიღი: 11/5/2002 მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის 22 ტელეფონის ნომერი: 895308883
ბენეფიციარი :	სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო:"
გარანტიის თანხა :	50 ლარი
გარანტიის გაცემის საფუძველი :	"ბენეფიციარს" და "პრინციპალს" შორის 2011 წლის 20 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, გადახდის ვალდებულების უზრუნველსაყოფად საჭიროა საბანკო გარანტიის გაცემა. "ბენეფიციარსა" და "პრინციპალს" შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება ბენეფიციარის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით, წინამდებარე გარანტია მისთვის მისაღებია.
გარანტიის გაცემის წინაპირობა:	
გარანტიის ძალაში შესვლის წინაპირობა:	გარანტია ძალაში შევა მას შემდეგ, რაც"ბენეფიციარსა და პრინციპალს" შორის გაფორმდება ხელშეკრულება მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების შესყიდვაზე.
გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება :	"გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ამ საბანკო საგარანტიო წერილის პირობების გათვალისწინებით, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე "ბენეფიციარის" პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა.
გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება:	"გარანტის" მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი დაირღვა "პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატება შემდეგში: "პრინციპალმა" დაარღვია "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულება. ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში უნდა მიუთითოს იმ გარემოების შესახებ თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, ასევე მოთხოვნასთან ერთად გარანტს უნდა წარუდგინოს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება ასეთის არსებობის შემთხვევაში წერილობითი მოთხოვნა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენილ უნდა იქნეს ს.ს. "თიბისი ბანკის" რუსთაველის სც №1ს ფილიალის კანცელარიაში
საგარანტიო თანხის შემცირება	საგარანტიო თანხა მცირდება: „პრინციპალის" ვალდებულების დოკუმენტალურად დადასტურებული შესრულების პროპორციულად.
გარანტიის მოქმედების ვადა :	10/18/2011- 12/25/2011 მოთხოვნა გარანტიაზე მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის" მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღამდე

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა "პრინციპალის" შეუსრულებელ ვალდებულებაზე მითითებით, თანდართული "ხელშეკრულების" ასლითა და წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემტხვევაში), მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.
წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია №458).
საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" რუსთაველის სც №1ს დირექტორი _____
თინათინ კვინტრაძე

2142

საქართველო, 0108 თბილისი, რუსთაველის გამზ.№44/გრიბოედოვის ქ.№35
44 Rustaveli Ave/35 Griboedovi St. 0108 Tbilisi, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 27 27 27
ფაქსი/Fax: (+995 32) 93 14 22
info@tbcbank.com.ge
www.tbcbank.ge

1.რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

სსიპ. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: კახა ტრაპაიძე

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: გრიბოედოვის 22

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: გრიბოედოვის 22

საიდენტიფიკაციო კოდი: 203851545

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: 2-99-93-57

ელექტრონული მისამართი: www.artacademy.edu.ge

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE84TB4980634080100001

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 5000.00 ლარი

ხელმძღვანელის ხელმოწერა ----------

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და განხორციელებული პროექტები

რესტავრაცია\კონსერვაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ორი უახლესი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია

1. ბიოლოგიური ლაბორატორია
2. ქიმიური ლაბორატორია

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს შემდეგი სახელოსნოები:

1. დაზგური ხელოვნების რესტავრაცია\კონსერვაციის სახელოსნო
2. მონუმენტური (კედლის) მხატვრობის რესტავრაცია\კონსერვაციის სახელოსნო
3. არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია\კონსერვაციის სახელოსნო
4. მცირე ხელოვნების ნიმუშთა (ლითონი, მინა, კერამიკა) რესტავრაცია\კონსერვაციის სახელოსნო

დიაგნოსტიკური და საკონსერვაციო ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვა

1. გამწოვი კარადა 2
2. საშრობი სამრეცხაო
3. წყლის დისტილატორი
4. რეაქტივების საცავი
5. ანალიზური სასწორის მაგიდა
6. კუნძულოვანი მაგიდა
7. ლაბორატორიული მაგიდა 4ც

8. ლაბ. მობილური მაგიდა 5ც
9. ლაბორატორიული ტუმბო
10. სტერეო მიკროსკოპი 9
11. მიკროსკოპი (ბინოკ)
12. პოლარიზებული მიკროსკოპი 2
13. ლუპა სანათით 10
14. ვიდეო თვალი 2
15. ავტ. პიპეტი 2
16. საშრობი სტერილიზატორი 1
17. დიგიტალური ბალანსი 4
18. ლაბ ქურა 4
19. „bain marie“ 2
20. ბუნზენის შტატივი 5
21. ლუპა სანათით 10
22. ქიმიური ჭურჭლის კომპლექტი
23. ქიმიური თერმომეტრი 4
24. ცივი ნათება 1
25. pH მეტრი
26. ქირურგიული სანათი 2
27. შლიფის მანქანა 6
28. დოზიმეტრი 2
29. ლამინარული კარადა
30. ცენტრიფუგა
31. თერმოსტატი 2
32. ავტოკლავი 1
33. ბაქტერიციდული განათება 2

დიზაინის ფაკულტეტის ტექნიკური აღჭურვა სახელოსნო/სტუდიების მონაცემები

მხატვრული ავეჯის სახელოსნო:

იქმნება ავეჯის დიზაინისათვის პროექტები, როგორც ინტერიერისათვის, ასევე ცალკეული მოხმარების ნივთები. სრულდება მასალაში ხეზე ჭრა, მარკეტრი, კეთდება საეკლესიო ნივთები: როგორიცაა - კანკელი, ორნამენტული კარები, ბარძიმი და სხვა, კიოტი, მომხმარებლის მოთხოვნის გათვალისწინებით საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორც საოფისე ასევე საოჯახო ავეჯი. კეთდება რესტავრაცია.

სახელოსნო აღჭურვილია ხის დასამუშავებელად და ნაკეთობების დასამზადებლად განკუთვნილი დაზგებით და დანადგარებით:

1. მრგვალხერხა დანადგარი;
2. საშალაშინე დანადგარი (რეისმუსი, ფუგანი);
3. საფეზო დანადგარი;
4. კოტებისა და ბუდეების ამოსაღები დანადგარი;
5. სტაციონალური ზუმფარის დანადგარი;
6. ხელის ფრეზის მოწყობილობა;
7. ხელის ზუმფარის მინი მოწყობილობა;
8. კუთხის საჭრელი დაზგა;
9. ხის ლობზიკის მოწყობილობა.

მეტალის, საიუველირო ნაწარმის და სხვა მასალათა სახელოსნო:

იქმნება პროექტები და შესაბამისად სახვადასხვა მასალისაგან შემდეგი ნაწარმი:

საიუველირო ნაწარმი, მინანქარი, კოვკა, შავი და ფერადი ლითონების მხატვრული დამუშავება, ასევე საეკლესიო ნივთები: შანდლები, ბარძიმი და სხვა.

სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი დაზგებით და ხელსაწყოებით:

1. გალვანოპლასტიკის აპარატურა;
2. შესადუღებელი აპარატურა;
3. საიუველირო ნაწარმისათვის - ფუსფუსები, ვალცები, საპრიალებელი ძრავები;
4. საბურღავი ჩარხი;
5. სალესი ჩარხი;
6. მინანქრის გამოსაწვავი ღუმელები.

მხატვრული მინის სახელოსნო:

იქმნება მხატვრული პროექტები, ფერადი მინის ნაკეთობები, ვიტრაჟები, დეკორატიული სანათები, მხატვრული პლასტები, მცირე პლასტიკა, სუვენირული და საიუველირო ნაწარმი.

სახელოსნო აღჭურვილია საჭირო დაზგა -დანადგარებით:

1. მინის გამოსაწვავი ღუმელები;
2. ალმასის ჩარხები;
3. მცირე პლასტიკის აპარატი.

კერამიკის სახელოსნო:

იქმნება, ტრადიციული კერამიკული ნაწარმი, საყოფაცხოვრებო გამოყენებითი ჭურჭელი, სადიზაინო კერამიკული ნაწარმი, დეკორატიული საბაღო-საპარკო, საინტერიერო, საექსტერიერო კერამიკა, კერამიკული მცირე პლასტიკა (მათ შორის სასუვენირო ხასიათის), სხვადასხვა ტიპის კერამიკული სკულპტურა.

ბაზა აღჭურვილია :

1. კერამიკული მასალის დამამზადებელი საამქრო;
2. სამეთუნეო - ამოსაყვანი ჩარხები;
3. თაბაშირის სამოდელე სახელოსნო;
4. კერამიკის გამოსაწვავი ღუმელები;
5. საჩამომსხმელო, დასაყალიბებელი სახელოსნო;
6. სტუდია - სახელოსნო.

სამრეწველო დიზაინის სახელოსნოსო:

სამრეწველო დიზაინის მიმართულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით შესაძლებელია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამხატვრო შემოქმედებითი მუშაობა, როგორც 3D-ს პროექტირების, მაკეტირების, მოდელირების და დასრულებული ნაკეთობების (ობიექტების, გარემოს) შექმნის თვალსაზრისით, მათ შორის: საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, გარემოს კეთილმოწყობის, დასვენების, გართობის, განათების და ა. შ. მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები (დიზაინის ესკლუზიური გადაკეთებით) .

სახელოსნოს აღჭურვილობა :

1. სახარატო დაზგა;
2. საზეინკლო დაზგა;
3. სამღებრო-მოსაპირკეთებელი საშუალებები;
4. ორგანული და პოლიმერული კომპოზიტები (რეზინის და სხვა მასალების დამუშავების შესაძლებლობა).

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები:

- ✓ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ისტორიული შენობის (ქ. თბილისი, გრიბოედოვის 22) ირანული დარბაზების მხატვრობის ნაწილობრივი კონსერვაცია, 2010-11;

- ✓ Research and education for the conservation of cultural heritage in Georgia _ გელათის წმ. გიორგის ტაძარი, ქვა, ფერწერა (2010-2011 შვეიცარიის მეცნიერების ეროვნული ფონდი)
- ✓ ონის მუნიციპალიტეტის სოფ. სოვმიწოს ეკლესიის პირველადი გადაუდებელი სამუშაოები - საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი. 2010 წელი
- ✓ ბაგინეთის ანტიკური კომპლექსის რეაბილიტაცია - საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი. 2009 წელი
- ✓ შემოქმედის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2007
- ✓ ზარზმის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2006

<u>**არქეოლოგიური მინა, ლითონი, კერამიკა**</u>

- ✓ მცხეთის მუზეუმის არქეოლოგიური ნივთების კონსერვაცია (2006-2009)
- ✓ ზუგდიდის მუზეუმის ლითონის ნივთების კონსერვაცია (2009)
- ✓ ქუთაისის მუზეუმის არქეოლოგიური ნივთების კონსერვაცია (2010)
- ✓ საგარეჯოს მუზეუმის არქეოლოგიური ნივთების კონსერვაცია (2010)

<u>**დაზგური ფერწერა**</u>

- ✓ შემოქმედის ტაძრის ხატების კონსერვაცია (2008-2009)
- ✓ ბოლნისის ტაძრის ხატების კონსერვაცია (2008-2009)
- ✓ მღვიმევის ტაძრის იკონოსტასის კონსერვაცია (2010) - ათენის ბენაკის მუზეუმის რესტავრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, სტერჯიოს სტასიოპოლუსის ხელმძღვანელობით
- ✓ გელათის ტაძრის იკონოსტასის კონსერვაცია (2010) - ათენის ბენაკის მუზეუმის რესტავრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, სტერჯიოს სტასიოპოლუსის ხელმძღვანელობით;

ქვა

- ✓ სავანის ტაძრის ქვის ორნამენტების რესტავრაცია-კონსერვაცია. 2010 წელი

პროექტები, რომელიც განხორციელდა სამხატვრო აკადემიის თანამონაწილეობით (მათ შორის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში):

საკონსერვაციო სამუშაოები

- ✓ თბილისი, შარდენის ქუჩაზე, #19-ში მდებარე სამხატვრო აკადემიის ძეგლის სტატუსის მქონე გობელენის მუზეუმის შენობის სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. სამუშაოები განხორციელდა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. 2001 წელი
- ✓ კულაშის ტაძრის კონსერვაცია – საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2005
- ✓ ნიკორწმინდის ტაძრის მოხატულობის ტექნიკური კვლევა და საკონსერვაციო პროექტი – საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2005
- ✓ ვანის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2006
- ✓ წევის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2006
- ✓ ქორეთის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2007
- ✓ ხონის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2007
- ✓ ხობის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2008
- ✓ ბოლნისის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2008
- ✓ ილემის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2008
- ✓ ვარძიის ანანაურის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2008
- ✓ ჭულეს მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2008
- ✓ საფარის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2008
- ✓ ჭულეს მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2009

- ✓ საფარის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2009
- ✓ მღვიმევის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2009
- ✓ ნიკორწმინდის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2010
- ✓ ბიეთის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2010
- ✓ ლიხაურის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2010
- ✓ თბილისის სამების ტაძრის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2010

თანამშრომლობა წამყვან უცხოურ ცენტრებთან:

ფაკულტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს წამყვან უცხოურ ცენტრებთან:

1. ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ინსტიტუტის კედლის მხატვრობის კონსერვაციის დეპარტამენტი;
2. ICCROM-ი;
3. ICOM-ი;
4. ICCOMOS-ი;
5. რომის კონსერვაციის ინსტიტუტი CBC;
6. შვეიცარიის ტექნოლოგიური ფედერალური ინსტიტუტი (ETH);
7. სამხრეთ შვეიცარიის გამოყენებითი მეცნიერების უნივერიტეტი (SUPSI);
8. ისპანეთის ხელოვნების უნივერსიტეტი

საკონკურსო წინადადება

მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება

წარმდგენი:

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

მანგლისის ტაძრის გუმბათის მოხატულობა, რომელიც შესრულების დახვეწილობითა და ქართული კედლის მხატვრობისათვის ტრადიციული იკონოგრაფიული სქემით ხასიათდება (გუმბათის სფეროში ჯვრის ამაღლებაა გამოსახული, გუმბათის ყელში ვედრება და წინასწარმეტყველთა ფიგურებია), შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის უნიკალური ნიმუშს წარმოადგენს. მოხატულობა, რომელიც ტაძრის ინტერიერის მთლიანი შემკულობის ნაწილია, მანგლისის ძველი ტეტრაკონქის გადაკეთებისდროინდელია და XI საუკუნის 20-იან წლებით თარიღდება. ტაძრის ინტერიერი სხვა ნაწილების შემკულობა სადღეისოდ დაღუპულად არის მიჩნეული - ცნობილია, რომ ინტერიერი, გუმბათის გარდა, XIX საუკუნის ბოლოს შეათეთრეს. ახლა ინტერიერი გაჯის შელესილობითაა დაფარული.

გუმბათის მოხატულობიდან სადღეისოდ შედარებით უკეთ სფეროს მხატვრობა გაირჩევა, გუმბათის ყელში კი ფერწერა ჭვარტლისა და ჭუჭყის სქელი ფენით არის დაფარული.

სფეროს მხატვრობაც საკმაოდ ნაკლული და დაზიანებულია, ნაკლულ ადგილებთან ერთად, ერთი შეხედვითვე ხვდება თვალს სახურავიდან ჩამოსული წყლის ლაქები და ფერწერულ ფენას გადაკრული გამომარილება. თვალშისაცემია სარკმლებიდან შემოსული წყლის კვალიც.

წყლის ლაქა გუმბათის სფეროს მოხატულობაზე

გამომარილების ფენა მოხატულობის ზედაპირზე

სარკმლიდან შემოსული წყლით ჩამორეცხილი ბათქაში

გუმბათის სარკმელი შეუმინავი მონაკვეთით და მისგან აფრაზე ჩამოსული წყლის კვალი



გუმბათის ყელის მხატვრობა, რომელიც ჭუჭყის სქელი ფენითაა დაფარული

მოხატულობის ბათქაშისა და ფერწერული ფენის მდგომარეობის შესახებ ხარაჩოს გარეშე, გინდაც წინასწარულად, რისამე თქმა შეუძლებელია.

გუმბათის სფეროს მოხატულობის დეტალი

ტაძრის გადახურვიდან წყლის გადამყვანი სისტემა პირველადი დათვალიერებით მოწესრიგებული ჩანს, თუმცა, კრამიტებს შორის, ალაგ-ალაგ მცენარეები შეიმჩნევა.

პირველადი დათვალიერებით მოწესრიგებულის ჩანს ტაძრის სარინელიც. მხოლოდ ჩრდილოეთით არის ცოკოლის ქვა გატეხილი, აქვე სარინელსა და ცოკოლზე ამოსული წყალმცენარეები და კედელზე ამოსული ლიქენებია თვალშისაცემი. ამ ტიპის დაზიანებები ტაძრის ფასადის სხვა ნაწილებში არ ჩანს.

სახურავიდან წყლის გადამყვანი სისტემა

კრამიტებს შორის ამოსული მცენარეები

ტაძრის ჩრდილოეთი მხარე, წყალმცენარეები სარინელსა და ცოკოლზე

ლიქენები ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფარგლებში განზრახულია:

- მოხატულობის მდგომარეობის ხარაჩოდან შესწავლა
- მოხატულობის დაზიანებათა ტიპებისა და მოცულობების ზუსტი განსაზღვრა (შესაბამისი დოკუმენტაციის დართვით)
- მოხატულობის შესრულების ტექნიკის კვლევა (შელესილობისა და პიგმენტების ანალიზი)
- მოხატულობის ბიოლოგიური კვლევა
- ნაგებობის გადახურვის მდგომარეობის საინჟინრო ექსპერტიზა
- საჭიროების შემთხვევაში მოხატულობის კრიტიკული ადგილების გადაუდებელი გამაგრება
- მოხატულობის ზედაპირული წმენდის ტესტირება

საკონკურსო სამუშაოები მიზნად ისახავს ტაძრის მოხატულობის მდგომარეობის შეფასებასა და განსახორციელებელი ღონისძიებების სახეობებისა და რიგითობის განსაზღვრას. განსახორციელებელ სამუშაოთა ღირებულების დადგენას. საკონსერვაციო სამუშაოებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

საკონკურსო სამუშაოები განხორციელდება არქიტექტორის, გეოლოგის, მხატვრობის ტექნიკის მკვლევარის, მხატვრობის რესტავრატორის, ბიოლოგისა და ხელოვნების ისტორიკოსისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ.

დანართი #3

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის სარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

[1] გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა ✓

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით [illegible] წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელოგის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
TBILISI STATE ACADEMY OF ARTS

#07/15-2080 31 10 2011

მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა 2011 წლის 30 დეკემბერი.

კანცლერი: კახა ტრაპაიძე

საქართველო, 0108 თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, ტელ: (+995 32) 2936 959, ტელ/ფაქსი: (+995 32) 2934 665
22 Griboedov str, 0108 Tbilisi, Georgia, tel: (+995 32) 2936 959, tel/fax: (+995 32) 2934 665, www.artacademy.edu.ge

მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება.

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების დასახელება	სრული ღირებულება ლარი
1	2	3
1	მოხატულობის დაზიანებათა ტიპების იდენტიფიკაცია	900.20
2	მოხატულობის დაზიანებათა მოცულობების განსაზღვრა	500.70
3	მოხატულობის საფუძვლის ლაბორატორიული ანალიზი	200.15
4	ბათქაშისა და პიგმენტების ლაბორატორიული ანალიზი	900.50
5	მარილის ანალიზი	200.40
5	მოხატულობის ბიოლოგიური კვლევა	400.20
6	მოხატულობის წმენდის ტესტირება	400.00
7	არქიტექტურული და საინჟინრო ექსპერტიზა	300.90
8	დოკუმენტაციის მომზადება (გრაფიკული, ფოტო)	400.40
	სულ პირდაპირი ხარჯები	4203.45
	ზედნადები ხარჯები 10 %	420.35
	ჯამი	4623.80
	მოგება 4 %	184.95
	ჯამი	4808.75
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	191.25
	ჯამი	5000.00

კანცლერი

კახა ტრაპაიძე

მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება.
საკონკურსო განაცხადი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგნეტოს მოთხოვნით
განვრცობილი დანართი.

როგორც ფერწერის ასევე არქიტექტურის ვიზუალური დაკვირვების შედეგად, წინასწარულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მხატვრობის დაზიანების მიზეზი არ უნდა იყოს არქიტექტურის სტრუქტურის მდგომარეობა, ის საკმაოდ მყარი და ჯანსაღია (მინაშენზე შეინიშნება კონსტრუქციული ბზარი რასაც მხატვრობასთან კავშირი არ აქვს) აგრეთვე ტაძრის ქვედა ნაწილი მშრალია, რაც თავისთავად გამორიცხავს როგორც გრუნტის წყლისგან გამოწვეულ დაზიანებებს აგრეთვე ზედაპირული წყლის კაპილარული აწოვის შესაძლებლობებს (სარინელი და წყლის გადამყვანი სისტემა მოწესრიგებულია). აქვე აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიური დაზიანებები გაირჩევა მხოლოდ ჩრდილოეთ ფასადზე, სხვა ფასადებზე მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიმჩნევა. საყურადღებოა, რომ წყალმცენარეები, რომელსაც არსებობისა და გავრცელებისათვის ჭირდებათ არა მხოლოდ ნესტიანი გარემო არამედ ულტრაიისფერი შუქიც, გვხვდება იმ ადგილას სადაც მზის სხივი ნაკლებ აღწევს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ადგილას ხდება წვიმის წყლის კონცენტრირება და შექმნილია მუდმივი ნესტიანი გარემო. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ფასადიდან 2-3 მ მოშორებით არსებული პატარა ბორცვი, რომლის ქანობიდანაც წვიმის წყალი გადმოედინება და ფასადთან გროვდება. წყლის გადამყვანი არხი რომელიც ამ ფასადს მიუყვება, ხშირად თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, რადგანაც ხეებიდან ჩამოცვენილი ფოთლებით ივსება, როგორც ჩანს არ ხდება მისი ხშირად ამოწმენდა. ამისდამიუხედავად არანაირი ალბათობა არ არსებობს, რომ ამ ფასადიდან წვიმის წყალი ინტერიერში აღწევდეს, ის მხოლდ ტაძრის კედლის ქვედა ნაწილს აზიანებს (წყალმცენარეები).

რეკომენდაცია: *წყალმცენარეები შეიძლება აღმოიფხვრას ბიოლოგიური კვლევის ჩატარების შედეგად გამოვლენილი შესაბამისი ბიოციდის გამოყენებით.*

ჩრდილოეთი მკლავის სახურავზე ყრია ჩამოცვენილი ფოთლები, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დაგროვილმა ფოთოლმა გამოიწვია კრამიტისთვის გამოყენებული ხსნარის დაშლა და მასზე ამოიზარდა მცირე ზომის მცენარეები. სავარაუდოდ ამჯამად ამ ადგილას წყალი არ ჩადის მაგრამ სამომავლოდ მცენარეების გამრავლება გამოიწვევს ხსნარის ძლიერ დაშლას და შესაძლოა კრამიტის დასკდომასაც.

რეკომენდაცია: *ამ ეტაპზე (გადახურვის მდგომარეობის შესწავლამდე) ეს პრობლემა მარტივად გადასაწყვეტად გვეჩვენება – ჩრდილოეთ ფასადის აღმოსავლეთით მხოლოდ ერთადერთი ხის ტოტი გადმოდის სახურავისკენ ამ ტოტის მოჭრის შედგად აღარ მოხდება სახურავზე ფოთლების დაგროვება.*

რაც შეეხება მხატვრობის დაზიანებას, ერთადერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ სახურავიდან ჩაჟონილი და სარკმლებიდან შეღწეული წვიმის წყალი, რისი კვალიც მხატვრობაზე აშკარად გაირჩევა. როგორც ჩანს წყლის ჩაჟონვის შედეგად წარმოქმნილი დიდი ლაქები და ფერწერული ფენის დიდი ნაწილის დანაკარგები, ფერწერის რესტავრაციამდე უკვე არსებობდა. არქიტექტურის რესტავრაცია განხორციელდა 1953წ (რ.გვერწითელი, ა. გოგელია, მანულოვი) ხოლო კედლის მხატვრობის 1958წ (შ. აბრამიშვილი). თუმც ამჟამად მხატვრობის კონსერვაციის შემდგომი დაზიანებებიც გაირჩევა. როგორც ჩანს სხვადსხვა დროს სახურავი კვლავ საჭიროებდა შეკეთებას. შემდგომი დაზიანების კვალი უნდა იყოს გამომარილება, რომელიც გუმბათის სფეროში (სარკმლის ზემოთ) გაირჩევა.

რეკომენდირებულია: *მარილის ტიპის დადგენა და მისი წარმოქმნის მიზეზის გარკვევა (არქიტექტურის რესტავრაციისას გამოყენებული მასალა, ფერწერის რესტავრაციისას გამოყენებული მასალა–თაბაშირი, თუ დროთა განმავლობაში სახურავზე დაგროვილი მცენარეთა ლპობის შედეგად წარმოქმნილი გამომარილება.*

სარკმლის ქვედა ნაწილებში მხატვრობის დაზიანების მიზეზი სავარაუდოდ უნდა იყოს სარკმლის ღიობებიდან შემოსხმული წყალი (მისი კვალი შედარებით ახლადშელესილ აფრებზე გაირჩევა)

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფარგლებში განზრახულია:

1 მოხატულობის მდგომარეობის ხარაჩოდან შესწავლა

ხარაჩოდან შესწავლის და საარქივო მასალების შედარების შემდგომ, შევძლებთ ზუსტად დავადგინოთ 1958წ განხორციელებული საკონსერვაციო სამუშაოების შემდგომ მხატვრობის მდგომარეობის სტაბილურობისა თუ ცვლილებების ხარისხი.

2 მოხატულობის დაზიანებათა ტიპებისა და მოცულობების ზუსტი განსაზღვრა (შესაბამისი დოკუმენტაციის დართვით)

როგორც ვიზუალური ასევე დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე დადგინდება დაზიანების ტიპები

შესრულდება სრული ფოტო (არეკლილი შუქი, მაკროფოტოგრაფია, მიკროფოტოგრაფია, ულტრაისფერი ლუმინესცენცია) და გრაფიკული დოკუმენტაცია დაზიანებების ტიპების მითითებით (ნიშნულები)

განხორციელდება გუმბათის აზომვა და შესაბამისად მოხატულობაზე განსახორციელებელი საკონსერვაციო სამუსაოების ფარტობის განსაზღვრა.

3 მოხატულობის შესრულების ტექნიკის კვლევა (შელესილობისა და პიგმენტების ანალიზი)

შემდგომში კონსერვააციისას გამოსაყენებელი მასალის სერჩევისთვის და ორიგინალტან თავსებადობის მიზნით, შევისწავლით მხატვრობის შესრულების ტექნიკას, ჩატარდება ლაბორატორიული ანალიზები, როგორც ნალესობის ასევე ქვის და პიგმენტების.

4. ბიოლოგიური კვლევა

გაკეთდება ბიოლოგიური ანალიზები სხვადასხვა მიკროორგანიზმების სახეობების დასადგენად და საჭიროების შემთხვევაში შეირჩევა შესაბამისი ბიოციდი

5 ნაგებობის გადახურვის და სარკმლების მდგომარეობის საინჟინრო ექსპერტიზა

არქიტექტურის მოწესრიგებისა და შემდგომში მისგან გამოწვეული დაზიანებების თავიდან აცილების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია საინჟინრო ექსპერტიზის ჩატარება

6 საჭიროების შემთხვევაში მოხატულობის კრიტიკული ადგილების გადაუდებელი გამაგრება

იმ შემთხვევაში, თუ მხატვრობის მდგომარეობა ძალზედ კრიტიკულია (მისი სეფასება მხოლოდ ხარაჩოს დადგმის შემდგომ იქნება შესაძლებელი) მხატვრობის კონსერვაციამდე განგორციელდება გადაუდებელი გამაგრება

7 მოხატულობის ზედაპირული წმენდის ტესტირება

საკონსერვაციო სამუშაოების დაგეგმამდე საჭიროდ მიგვაჩნია ზედაპირული წმენდის ტესტირების ჩატარება რადგანატს შემდგომში სწორედ შეირჩეს მასალა და განისაზღვროს კონსრევაციის მეთოდიკა და მოხდეს მისი დაგეგმვა

საკონკურსო სამუშაოები მიზნად ისახავს ტაძრის მოხატულობის მდგომარეობის შეფასებასა და განსახორციელებელი ღონისძიებების სახეობებისა და რიგითობის განსაზღვრას. განსახორციელებელ სამუშაოთა ღირებულების დადგენას. საკონსერვაციო სამუშაოებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

საკონკურსო სამუშაოები განხორციელდება არქიტექტორის, გეოლოგის, მხატვრობის ტექნიკის მკვლევარის, მხატვრობის რესტავრატორის, ბიოლოგისა და ხელოვნების ისტორიკოსისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ.